საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69. 6922294001**
თარიღი:**21/10/2022**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის იაპონიის საელჩოსაგან გრანტის მისაღებად თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე -100 მუხლის მე - 5 და მე -7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, **იაპონიის საელჩოსაგან მიიღოს გრანტი 61.864.41** (სამოცდაერთი ათას რვაასსამოცდაოთხი აშშ დოლარი და ორმოცდაერთი ცენტი) აშშ დოლარის თანხის ოდენობით, რათა ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის მძიმე ტექნიკის შეძენა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისთვის“ განხორციელება.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი .3 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).”

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი